გრეგორ კურჩინსკი, პროფესორი, ვროცლავის მუსიკის აკადემიის რექტორი

დაიბადა 1943, 23 თებერვალს. არის ვროცლავის (პოლონეთი) მუსიკის აკადემიის კურსდამთავრებული (ვლადიმერ ობიდოვიჩის კლასი). მას მოპოვებული აქვს სხვადასხვა ხარისხები ბრიუსელის მუსიკის აკადემიაში სწავლის პერიოდში (ჟან კლოდ ვანდენ-ეინდენის კლასი) და ჯულიარდის მუსიკის აკადემიში, ნიუ იორკში, სწავლის პერიოდში (პროფესორებთან - ჟოსეფ კელიხსტეინთან და ებბი საიმონთან). გრეგორ კურჩინსკი იყო წევრი ბელგიის კულტურის მინისტრის და ბარბარა პიასეკა-ჯონსონის ფონდებისა შეერთებულ შტატებში. მიღებული აქვს სტიპენდია გამოჩენილი ამერიკელი პიანისტის მალკოლმ ფრეიჯერის. გამოდიოდა საკონცერტო ტურებით ბელგიაში, ნიდერლანდებში, გერმანიაში, შვეიცარიაში, რუსეთში, უკრაინაში, ლუქსემბურგში, შეერთებულ შტატებში, ჩეხეთში, ლატვიაში, ავსტრალიაში, კორეაში, ავსტრიასა და იტალიაში. მრავალი ჩანაწერი აქვს გაკეთებული რადიოსა და ტელევიზიაში, გამოშვებული აქვს მრავალი სიდი. იგი იყო, და კვლავ აგრძელებს მუშაობას სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ საფორტეპიანო კონკურსებში. ჩატარებული აქვს მასტერკლასები პოლონეთში, ნიდერლანდებში, ლატვიაში, რუმინეთში, გერმანიაში, ისრაელსა და სერბეთში. ასწავლის ფორტეპიანოს 1972 წლიდან ვროცლავის კეროლ ლიპინსკის სახელობის მუსიკის აკადემიაში და პოზნანის (პოლონეთი 1996-2002) პადერევსკის სახელობის სახელობის მუსიკის აკადემიაში. ამჟამად არის საფორტეპიანო მიმართულების ხელმძღვანელი ვროცლავის მუსიკის აკადემიაში. რექტორია კეროლ ლიპინსკის სახელობის მუსიკის აკადემიაში(2002 – 2008 წლებში. 2008 წლიდან კი – რექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციის საქმეში. იგი იყო წევრი პოლონეთის სახელოვნებო საგანმანათლებლო საბჭოში (2004 - 2008). CRASP – ის (*პოლონეთის აკადემიური სკოლების რექტორთა კონფერენცია)* აკრედიტაციის კომისიის წევრი. პოლონეთის სახელოვნებო სკოლათა (2002 - 2008),

აკრედიტაციის კომისიის წევრი. ინსტრუმენტული სწავლების, ჯაზის და სასცენო მუსიკის სტანდარტების განმსაზღვრელი ექსპერტი უმაღლესი სწავლების პოლონურ საბჭოში, პოლონეთის აკადემიური სკოლების რექტორთა კონფერენციის ეკონომიური კომისიის წევრი.

გრეგორ კურჩინსკი მრავალი სხვადასხვა საერთაშორისო კომისიის და საბჭოს წევრია, (რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს). 2011 წლიდან იგი ევროპულ კონსერვატორიათა ასოციაციის საბჭოს წევრია, ასევე, აკრედიტაციის საბჭოს წევრი ევროპულ კონსერვატორიათა ასოციაციიში, არის ბოლონიის ექსპერტი.

ჩატარებული აქვს მრავალი მასტერკლასი, ლექცია, აქვს მრავალი პუბლიკაცია პოლონეთსა და თითქმის მთელს ევროპაში ევროპული კვალიფიკაციის სისტემაზე, სწავლების შედეგებზე, აკადემიური განვითარების მოდელზე, ბოლონიის პროცესზე და სხვ.